ნოდარ შენგელია

მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოშობა და ქართული დიპლომატია

XI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისათვის დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალიზაციისა და ქვეყანაში მიმდინარე სოციალური და რელიგიური მოძრაობების შედეგად სახელმწიფო დაიშალა რამდენიმე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფეოდალურ ერთეულად. ჩამოყალიბდა ცალკეული სელჩუკური პოლიტიკური ერთეულები სირიაში, ერაყში, ქერმანში, მცირე აზიაში. ამას გარდა წარმოიქმნა არაერთი წვრილი საემირო და პოლიტიკური დაჯგუფება. XI საუკუნის მიწურულისათვის დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალიზაციის პროცესი ძალიან შორს წასული მოვლენა იყო. სულთან მალიქ-შაჰისა და დიდვეზირ ნიზამ ალ-მულქის გარდაცვალების შემდეგ, სახელმწიფოში განსაკუთრებით გაძლიერდა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის ტენდენციები. ცენტრალური ხელისუფლების დაცემა-დაქვეითებასთან ერთად ძლიერდებოდა პროვინციების განმგებელთა — იქტას მფლობელთა — ძალაუფლება. ქვეყნის დეცენტრალიზაციასთან ერთად უფრო ღრმავდებოდა წინააღმდეგობა და მტრობა სელჩუკთა დინასტიის წევრებს შორის.

დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში იქტას საფუძველზე გაცემული დაპყრობილი და დასაპყრობი ტერიტორიების განმგებლები მალიქ შაჰის სიცოცხლეში ნომინალურად მაინც ცნობდნენ სულთნის უზენაესობას. მალიქ შაჰის გარდაცვალების შემდეგ კი მთელი იმპერია 12 პროვინციად დაიყო.[1] ერთ-ერთი პროვინცია იყო მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო, რომელიც თავის მხრივ საამიროებად და სამელიქოებად იყო დაყოფილი. მარტო მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო 19 საამიროსაგან შედგებოდა. მთელი მცირე აზია დამოუკიდებელი საამიროებით იყო მოფენილი. თითოეული მათგანი დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა და მეზობელი საამიროს ხარჯზე ცდილობდა თავისი ტერიტორიების გაფართოებას. ამ საამიროების მეთაურები იყვნენ თვით სელჩუკთა დინასტიის წევრები, ანდა მათი მხედართმთავრები და ამირები, რომელთაც თავის დროზე დიდი სელჩუკი სულთნისაგან იქტას წესით მიეცათ ესა თუ ის ტერიტორია, მაგრამ დროთა ვითარებაში, იქტას ინსტიტუტის ევოლუციის შედეგად, დამოუკიდებლობა მოიპოვეს და წარმატებით აწარმოებდნენ ომებს ბიზანტიის წინააღმდეგ და აფართოებდნენ თავიანთ ტერიტორიებს. ისინი ნაკლებად ცნობდნენ დიდი სელჩუკი სულთნის უზენაეს ხელისუფლებას.

---

[1] M. H. Yinanç, Türkiey Tarihi Selçuklular Devri I. Anadolunun fethi. Istanbul, 1944, გვ. 130

დიდი სელჩუკი სულთნის მალიქ შაჰის დაპყრობითი გეგმების განხორციელების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სულეიმან შაჰმა, რომელმაც თავის დროზე დიდი სელჩუკი სულთნისაგან მიიღო ნებართვა, დასავლეთის მიმართულებით ეწარმოებინა ახალ-ახალი დაპყრობები. სულეიმან შაჰს იქტას წესით ებოძა ტერიტორიები მცირე აზიაში და ამასთანავე განისაზღვრა მისი დასაპყრობი ტერიტორიებიც.

სულეიმან შაჰი ძირითადად დასავლეთის მიმართულებით — ბიზანტიის წინააღმდეგ აწარმოებდა ომებს და დიდი წარმატებითაც. სულეიმან შაჰთან ერთად მცირე აზიაში ბიზანტიის წინააღმდეგ სხვა სელჩუკი უფლისწულები და მხედართმთავრებიც მონაწილეობდნენ. სელჩუკები დიდ წარმატებებს აღწევდნენ ბიზანტიელებთან ბრძოლაში, ხდებოდა მცირე აზიის ბერძნული ტერიტორიების გათურქება, თურქული მოდგმის ტომებით დასახლება.[2]

ჯერ კიდევ თურქ-სელჩუკების შემოსევებამდე მცირე აზიაში თურქული მოდგმის ტომები თანდათანობით მოდიოდნენ და სახლდებოდნენ მცირე აზიის ცალკეულ პუნქტებში. შუა აზიიდან მოსული თურქებით იქნა დასახლებული ადანა, მარაში, მალათია, ამიდი, ხლათი, მანასკერტი და სხვა ადგილები. ოღუზთა ტომების შემოსევებამდე დაიწყო მცირე აზიის გათურქება, თურქული ტომების გაძლიერება და ადგილობრივ ეთნიკურ შემადგენლობაში ამ უცხო ელემენტის გამრავლება. ამგვარად, მცირე აზიის სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილები შუა აზიიდან მოსული თურქებით დასახლდა.[3]

თურქთა მოთარეშე ძალები ბიზანტიის იმპერიის ქალაქებს თავს ესხმოდნენ, იპყრობდნენ და ნადავლითა და ტყვეებით უკან ბრუნდებოდნენ. მათი თავდასხმების შედეგად ჭრებოდა ანატოლიის ქალაქები. ასეთი, თურქთა მიერ განადგურებული, ქალაქები იყო: კლოდია, სივასი, კომანა, ნიკსარი, კოლონია/აღმოსავლეთი კარაჰისარი/კაისერი, ერეგლი/ჰერაკლე/, კონია, ედროლა/ესქიშეჰირი/და ასობით სხვა ქალაქი. ბიზანტიის იმპერიის ხანაში დაწინაურებული მცირე აზია სელჩუკთა პერმანენტული შემოსევების შედეგად გავერანდა და განადგურდა.[4]

---

[2] მცირე აზიაში თურქული მოდგმის ტომების ჩამოსახლებისა და მათი ეთნიკური ისტორიის შესახებ საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა უკანასკნელ ხანებში დ. ერემეევმა. იხ. Д. Е. Еремеев, Проникновение тюркских племен в Малую Азию, VII Международный конгресс антропологических и этнографических наук. Москва, август, 1964, с. 1-10.

Д. Е. Еремеев, Этногенез турок (происхождение и основные этапы этнической истории). М., 1971.

Claude Cahen, Le Probleme Ethnique en Anatolie. 6.

Cahiers d'histoire Mondiale journal of World History Cuadernos de historia Mundial. Paris, 1954, volume II, n 2 გვ. 347-362.

[3] ინანჩის დასახ. ნაშრ., გვ. 20.

[4] მცირე აზიისა და კავკასიის პოლიტიკური მდგომარეობა სელჩუკთა სახელმწიფოს დაარსებამდე შესწავლილი აქვს თურქ ისტორიკოსს — მუკრიმინ ჰალილ ინანჩს. აქვე

XI საუკუნის 70-იანი წლებისათვის სულეიმან შაჰმა მნიშვნელოვნად გაიფართოვა თავისი ტერიტორიები მცირე აზიაში. განსაკუთრებით დიდ სამხედრო წარმატებებს აღწევენ სელჩუკები მცირე აზიაში მანასკერტის ბრძოლის შემდეგ, როდესაც ბიზანტიამ მათთან ბრძოლაში სასტიკი მარცხი განიცადა.

მანასკერტთან გამარჯვების შემდეგ სელჩუკებს გზა ხსნილი ჰქონდათ დასავლეთისაკენ და დიდ წარმატებებსაც აღწევდნენ. ბიზანტიის იმპერია საშინაო თუ საგარეო პირობების უკიდურესად გართულების გამო, იძულებული ხდებოდა, მცირე აზიის ტერიტორიები სელჩუკებისათვის დაეთმო. ბიზანტიელები სელჩუკებთან სისტემატურად მარცხდებოდნენ. სელჩუკები შესანიშნავად იყენებდნენ ბიზანტიის მდგომარეობას და დიდ წარმატებებსაც აღწევდნენ, ძალიან ჩქარი ტემპით მიიწევდნენ დასავლეთის მიმართულებით. სხვა მხედართმთავართა და უფლისწულთა შორის, რომლებიც ბიზანტიის წინააღმდეგ ეწეოდნენ ბრძოლებს, დიდ წარმატებებს მიაღწია სწორედ სულეიმან შაჰმა. ჯერ კიდევ ადრე ალფ-არსლანმა სულეიმან შაჰს საგანგებოდ მისცა დამასკო, მაგრამ მას ადგილობრივი ემირები აუჯანყდნენ და მისი მოკვლა განიზრახეს. სულეიმან შაჰმა ალფ-არსლანის დახმარებით შეძლო მათი წინააღმდეგობის გატეხვა და დამორჩილება.[5]

სულეიმან შაჰმა მთელი რიგი პროვინციებისა დაიპყრო მცირე აზიაში და მნიშვნელოვნად გაიფართოვა თავისი სამფლობელოები. ამასთანავე, სულეიმან შაჰს ბრძოლა უხდებოდა სელჩუკთა უფლისწულებთან და მხედართმთავრებთანაც, რომლებიც მას დასაპყრობ ტერიტორიებს ეცილებოდა და ამასთანავე, მცირე აზიაში პირველობისა და დამოუკიდებლობისათვის ისწრაფოდნენ. სულეიმან შაჰმა მოახერხა ჩამოეშორებინა მოწინააღმდეგე სელჩუკი მხედართმთავრები და თითქმის ერთპიროვნული მბრძანებელი გამხდარიყო მცირე აზიაში.

მცირე აზიაში წარმოებული ბრძოლების დროს სულეიმანმა ჯერ კონია დაიპყრო, შემდეგ კი გზა განაგრძო უფრო დასავლეთისაკენ — იზნიკისაკენ. იგი 1075 წელს დაიპყრო და დედაქალაქად გაიხადა.[6] თანამედროვე თურქი ისტორიკოსი ოსმან თურანი ამ წელს — 1075 წელს — მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს დაფუძნების თარიღად მიიჩნევს.[7]

მას გათვალისწინებული აქვს მცირე აზიის ვითარება სელჩუკთა შემოსევების დროს. იხ. მ. ინანჩის დასახ. ნაშრ., გვ. 19-35. აგრეთვე, Д. Е. Еремеев, Этногенез турок..., с. 46-73.

[5] Anadolu Sekçuklulari Devleti Tarihi, III, 1952. Ankara, გვ. 67.

[6] Chronique de Michel le Syrien, patriarche Yacobite d'Antioche (1166-1199), editee pour la premiere fois et traduite en français par I-B. Chabot, tomes I-IV. 1899-1924. Paris, გვ. 172.

[7] Osman Turan, Selçuklular Tarini ve Türk-Islam Medeniyti. Ankara, 1965, გვ. 199.

ამ წელს მან დიდი სელჩუკი სულთნისაგან მიიღო ოფიციალური ნებართვა და ტიტული, გამხდარიყო მცირე აზიის დაპყრობილი პროვინციების ერთპიროვნული განმგებელი.

მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს დაფუძნების თარიღად მიჩნეულია 1077, 1078, 1080 და, ზოგჯერ, 1081 წელიც კი.[8] ამ სახელმწიფოს დაარსებით სულეიმან შაჰმა ფაქტობრივად გააერთიანა მთელს მცირე აზიაში ჩამოსახლებულ თურქმანთა მომთაბარე ტომები, რომლებიც მთელი საუკუნის მანძილზე, ზოგი ძალით, ზოგი ნებით, სისტემატურად მოდიოდნენ ბიზანტიის აზიურ პროვინციებში და აქვე მკვიდრდებოდნენ.

სელჩუკთა მანასკერტის ველზე გამარჯვება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრებაში. ამიერიდან სელჩუკებს გზა ხსნილი ჰქონდათ ანატოლიის ასათვისებლად. მანასკერტთან გამარჯვებით საბოლოოდ ჩაეყარა საფუძველი ანატოლიაში სელჩუკთა დამკვიდრებას. მანასკერტის ბრძოლამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საქართველო.

„დიდი განვითარებისა და კულტურის მქონე ბიზანტიის ნაცვლად საქართველოს ამიერიდან დაუმეზობლდა განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი, ნახევრად პატრიარქალური, მომთაბარე-მეჯოგური, ექსტენსიური მეურნეობის მიმდევარი სელჩუკთა მუსლიმანური სახელმწიფო".[9] საქართველო ამ პერიოდში თანდათანობით ერთიანდებოდა და ამიერკავკასიის ქვეყნებიდან ბიზანტიის გაძევებისათვის ემზადებოდა. მისი მფარველობა უკვე გაძლიერებულ საქართველოს არ სჭირდებოდა.

აღმავალი გზით მიმავალ, გაერთიანების გზაზე შემდგარ საქართველოს უმეზობლდებოდა სავსებით უცხო ელემენტი. იგი განვითარების დონითა და ეთნიკური შემადგენლობით საქართველოს მეზობლად ყალიბდებოდა და უპირისპირდებოდა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს კულტურას, ინტენსიურ მეურნეობას, საქალაქო ცხოვრებასა და სოციალურ-კულტურულ ყოფას. არსებობას იწყებდა ექსტენსიური, მომთაბარულ-მეჯოგური მეურნეობა. თურქ-სელჩუკთა შემოსევები საქართველოში ძირფესვიანად განსხვავდებოდა ბიზანტიელებისა და სხვათა შემოსევებისა და ბატონობისაგან. სელჩუკები თავიანთი ოჯახებითა და ხვასტაგებით მოდიოდნენ საქართველოში, ისინი დაპყრობილ ტერიტორიებს მაშინვე ყიშლაღ-იალაღებად იკავებდნენ საქონლის საძოვრებისათვის.

მანასკერტის ბრძოლის შემდეგ საქართველოს ბიზანტიის ნაცვლად სელჩუკების წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა. აღმავლობის გზაზე შემდგარი საქართველო გადაგვარების საფრთხის წინაშე იდგა. იწყებოდა დაუნდობელი

---

[8] Laurent Y, Byzance et les Origines du Sultanat de Roum (Melanges ch. Dichl), Paris, 1930, გვ. 180-181, მ. ინანჩის დასახ. ნაშრ., გვ. 109.

[9] ნოდარ შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 269.

ბრძოლა ადგილობრივ მკვიდრ ფეოდალურ საზოგადოებასა და დამპყრობელ მომთაბარე თურქებს შორის. მოწინავე ფეოდალურ კულტურას საფრთხე ექმნებოდა მომთაბარე-მეჯოგეთა ექსტენსიური მეურნეობის სახით. საჭირო იყო ამ საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს მისია კი საქართველომ იკისრა.

თავის დროზე დიდი სელჩუკი სულთნის მიერ იქტას საფუძველზე სამსახურის სანაცვლოდ სულეიმან შაჰისათვის ბოძებული ტერიტორიები ამჯერად სულეიმან შაჰს ოფიციალურად ერთპიროვნულ განმგებლობაში ეძლეოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ არსებობას იწყებდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული — მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო. მიხეილ სირიელის ცნობით, ბაღდადის ხალიფამ ოფიციალურად აღიარა სულეიმან შაჰის დამოუკიდებლობა, მას ხალათი და დროშა გამოუგზავნა, სულთნად მოიხსენია, ებოძა შაჰის ტიტული და მცირე აზიის ბერძნული სამფლობელოების დაპყრობის საქმეში დამსახურების გამო „ღაზის" („დამპყრობელის") წოდება მიენიჭა.[10]

სულეიმან შაჰისათვის ოფიციალურად ამ ტიტულის მინიჭება ნიშნავდა იმას, რომ დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ხარჯზე საფუძველი ეყრებოდა მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს. ეს კი თავისთავად დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს განვითარების ისტორიაში. სათავე ედებოდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს — მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს, რომლის პირველი მეთაური სულეიმან შაჰი ოფიციალურად ცხადდებოდა „სულთნად" და მცირე აზიის დამპყრობლად. მცირე აზიაში სელჩუკთა მიერ მოპოვებული წარმატებებით, მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიებით ერთგვარად ხდებოდა სელჩუკთა ლაშქრობების შეჯამება, მცირე აზიაში მათი „ნამოღვაწარის" ფორმალური აღიარება, ბიზანტიის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი სელჩუკური პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნა. მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს საფუძველი ჩაეყარა ბიზანტიის ტერიტორიების ხარჯზე. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, ბიზანტიის საბოლოო დამარცხებისა და აზიის ტერიტორიებზე ხელის აღების აღიარება, ამავე დროს, ეს იყო დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალიზაციის პროცესის განვითარების ფორმალური აქტი.

სულეიმან შაჰი პირველი იყო, რომელმაც ოფიციალურად მიიღო დამოუკიდებლობის მაღიარებელი ტიტულები. მიუხედავად ამ ტიტულებისა, სულეიმან შაჰი ფორმალურად მაინც ემორჩილებოდა დიდ სელჩუკ სულთანს, მაგრამ ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში მზად იყო, დამოუკიდებელი ყოფილიყო დიდი სელჩუკი სულთნისაგან. ამ ფორმალური ტიტულების მიღების შემდეგ მცირე აზიის სელჩუკი სულთანი დიდ სელჩუკთა იმპერიასთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა.

---

[10] მიხეილ სირიელის დასახ. ნაშრ., გვ. 172. მ. ინანჩის დასახ. ნაშრ., გვ. 100.

სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის მკვლევარი, თურქი ისტორიკოსი მ. ა. ქოიმენი სულეიმანისათვის დიდი სელჩუკი სულთნისა და ხალიფასაგან ზემოთ აღნიშნული ტიტულების მინიჭების ფორმალურ აქტს მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს მეორედ დაფუძნებად მიიჩნევს. მ. ქოიმენის ვარაუდით, მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს საფუძველი პირველად 1073 წელს ჩაეყარა, როდესაც დიდმა სელჩუკმა სულთანმა სულეიმანსა და მის ძმებს მცირე აზიის დაპყრობის უფლების სიგელი უბოძა. ამ სიგელით ძმებს თანაბარი უფლებები ეძლეოდათ მცირე აზიის „ასათვისებლად" და ამიტომ მათი საქმიანობა „კოლექტიური მმართველობის სისტემის" სახელწოდებით შეიძლება მოვიხსენიოთ, ხოლო 1077 წლისათვის, როდესაც ძმებმა წარმატებით შეასრულეს დიდ სელჩუკი სულთნის დავალება და მცირე აზიის ტერიტორიები თითქმის დაიპყრეს, ხოლო სულეიმანმა ძმებს შორის პირველობა მოიპოვა, ამასთანავე ოფიციალური ტიტულებიც მიიღო — ხდებოდა მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს მეორედ წარმოქმნა.[11]

მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს ფუძემდებლად და მის პირველ სულთნად სულეიმან შაჰი (1077-1086) ითვლება. მან ჩაუყარა საფუძველი მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს. მის მიერ მცირე აზიაში ჩატარებული დაპყრობითი ლაშქრობების შედეგად სელჩუკთა ხელში გადავიდა ბიზანტიის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი. სულეიმან შაჰის მიერ ოფიციალურად სულთნად აღიარების შემდეგ იგი წარმატებით განაგრძობდა დაპყრობებს მცირე აზიაში და უფრო და უფრო აფართოებდა ტერიტორიებს დასავლეთის მიმართულებით ბიზანტიის იმპერიის ხარჯზე.

სულეიმან შაჰის მიერ დაპყრობილი და მის განმგებლობაში შესული ტერიტორიები შემდეგში იწოდებოდა მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოდ. მას ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოსაც ეძახდნენ, რადგანაც თურქები მცირე აზიას ანატოლიას უწოდებდნენ; იგი ასევე რუმის სასულთნოს სახელითაც იყო ცნობილი. სელჩუკები მცირე აზიაში მათ მიერ დაპყრობილ ბერძნულ ტერიტორიებს რუმის ქვეყანას ეძახდნენ და ბერძნებს რუმებს უწოდებდნენ. აქედან წარმოსდგა ამ ახლად დაარსებული სახელმწიფოს ერთ-ერთი სახელწოდებაც — რუმის სასულთნო.

ამ სახელმწიფოს სინონიმი იყო აგრეთვე კონიის, იმავე იკონიის სასულთნოც, რადგანაც მათი დედაქალაქი შემდეგში გახდა მცირე აზიის ერთ-ერთი ქალაქი — კონია. სწორედ დედაქალაქის სახელის მიხედვით მას კონიის, ანუ იკონიის, სასულთნოსაც ეძახდნენ.

ამრიგად, მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო აღმოსავლურ წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება: მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს, ანატოლიის სელჩუკთა სახელმწფოს, რუმის სასულთნოს, კონიის და

---

[11] Mehmed Altay Köymen, Selçuklu Devri. Türk Tarihi, Ankara, 1963, გვ. 102-109.

იკონიის სასულთნოს სახელწოდებებით. ისინი ერთმანეთის სინონიმებად იხმარება როგორც პირველწყაროებში, ისე სპეციალურ ლიტერატურაშიც.

მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს დიდ სელჩუკთა უზარმაზარ იმპერიაში ყველაზე ადრე ჩაეყარა საფუძველი (XI საუკუნის 70-იან წლებში). შემდეგში არაერთი სელჩუკური პოლიტიკური ერთეული წარმოიქმნა სირიაში, ქერმანში, ფარსში, მაგრამ ამ სელჩუკურ დინასტიებს შორის მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფომ ყველაზე მეტ ხანს იარსება (1308 წლამდე). გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ დიდ სელჩუკთა დაშლის შემდეგ მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო იყო ერთადერთი პოლიტიკური ერთეული, რომელიც მთელი XII-XIII საუკუნეთა მანძილზე უშუალოდ ემეზობლებოდა საქართველოს და მასთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა უხდებოდა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სელჩუკთა სხვა პოლიტიკურ ერთეულებს კავშირი და ურთიერთობა არ ჰქონდა საქართველოსთან. ეს უკანასკნელნი მაინც, კერძოდ ერაყის სელჩუკები აზერბაიჯანის ელდეგუზიანთა დინასტიის საშუალებით, ამყარებდნენ კონტაქტებს საქართველოსთან. მაგრამ უშუალო მეზობელი ბიზანტიის იმპერიის ნაცვლად, როგორც აღვნიშნეთ, მთელ XII-XIII საუკუნეთა მანძილზე მცირე აზიის სელჩუკები იყვნენ.

მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს სახით საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით არსებობდა ერთგვარი პლაცდარმი, საიდანაც შეიძლებოდა სისტემატური თავდასხმები ეწარმოებინათ სელჩუკებს. ქართველ ხალხს ბიზანტიის კულტურული ხალხის ნაცვლად ურთიერთობა უხდებოდა თურქ-სელჩუკთა მეჯოგე-მომთაბარე ტომებთან, რომელთაც სახელმწიფო ორგანიზაციის ტრადიციები არ მოსდგამდათ. ჭეშმარიტად ძნელი იყო დიდი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქართველი ხალხისათვის ბიზანტიის ნაცვლად მცირე აზიაში ჩამოსახლებულ მომთაბარე ნომადებთან ურთიერთობა.

თურქი ისტორიკოსი მ. ჰ. ინანჩი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა სელჩუკთა მიერ მცირე აზიის დაპყრობა და მათი დამკვიდრების ისტორიის საკითხები, მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიას ოთხ პერიოდად ყოფს: პირველ პერიოდად მას მცირე აზიის დაპყრობა და იქ ოღუზ-თურქების დამკვიდრება მიაჩნია (1015-1085). შემდეგ პერიოდად იგი მცირე აზიაში სელჩუკების გაერთიანებისათვის ბრძოლას გულისხმობს, რომელიც 1085-1192 წლებს მოიცავს. ხოლო მესამე პერიოდად იგი მცირე აზიის გაერთიანებასა და ცენტრალიზაციას მიიჩნევს, რომელიც 1192-1256 წლებს ავრთიანებს. და ბოლოს, უკანასკნელ ხანად მას მცირე აზიის სელჩუკების დასუსტებისა და გადაშენების პერიოდი მიაჩნია, რომელიც 1256-1308 წლებს თანხვდება.[12]

---

[12] მ. ჰ. ინანჩის დასახ. ნაშრ., გვ. 7.

თუ მ. ინანჩის პერიოდიზაციას მივყვებით, პირველ პერიოდში მცირე აზიის დაპყრობა და იქ ოღუზ-თურქების დამკვიდრება ხდება 1015-1085 წლებში. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში არა მარტო მცირე აზიის ტერიტორიებზე ხდება სელჩუკთა ჩამოსახლება, არამედ მთელს მახლობელ აღმოსავლეთში. XI საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება სელჩუკთა შემოსევები მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამიერკავკასიაში, მცირე აზიაში, იქმნება დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაში მოექცა აღნიშნული ტერიტორიები, ხოლო მცირე აზიის ტერიტორიებზე სელჩუკთა სისტემატური, გამუდმებული თავდასხმები და ჩამოსახლება, მცირე აზიის გათურქება იწყება XI საუკუნის შუა წლებიდან და ძლიერდება 60-70-იან წლებში.

ცალკეულმა სელჩუკმა უფლისწულებმა და მხედართმთავრებმა 70-იანი წლებისათვის ძირითადად დაასრულეს მცირე აზიის გათურქება, ამ ტერიტორიებზე ეთნიკურად გაბატონება. განსაკუთრებით მანასკერტის ბრძოლის შემდეგ ხდება მცირე აზიის ბერძნული პროვინციების ეთნიკური შემადგენლობის შეცვლა. მცირე აზიის ბერძნულ პროვინციებში სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და სულეიმან შაჰის, პირველ სულთნად აღიარების მიუხედავად, სელჩუკებს ბიზანტიის ტერიტორიები აზიაში ჯერ კიდევ მთლიანად დაპყრობილი არ ჰქონდათ. სულეიმან შაჰი ახლა უფრო ინტენსიურად იპყრობდა ახალ-ახალ ტერიტორიებს. სულეიმან შაჰი შესანიშნავად იყენებდა ბიზანტიის სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისს და ადვილად ახერხებდა ბიზანტიის ტერიტორიების დაკავებას. მანასკერტთან ბიზანტიის დამარცხების შემდეგ მან საბოლოოდ ხელი აიღო ანატოლიაზე. ბიზანტია სისტემატურად კარგავდა ტერიტორიებს მცირე აზიაში.

1079-1080 წლებში თურქთა დაპყრობები ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვებისა და შავი ზღვის სანაპიროებამდე ვრცელდებოდა. სელჩუკთა ლაშქარს ბიზანტიელთა ჯარი წინ ვერ უდგებოდა. ბიზანტიის იმპერატორისაგან განდგომილი პროვინციის განმგებლები სელჩუკთა მხარეზე გადადიოდნენ. სელჩუკთა სიძლიერისა და უძლეველობის შესახებ ანონიმი ისტორიკოსი შენიშნავს: რომ „რუმის ფადიშაჰის ხაზინები ხმლის სიძლიერით მის ხელთ გადავიდა... ქაფირთა ქვეყნებიდან კონიაში ხარაჯა მოიტანეს. რუმის მოჯანყეები მოვიდნენ და თავს ხრიდნენ."[13]

ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს გაფართოება ბიზანტიის ტერიტორიების ხარჯზე კარგად ჰქონდა მოფიქრებული სულეიმან შაჰს. სელჩუკებმა იზნიქს შეუტიეს და კონსტანტინოპოლზე სალაშქროდ ემზადებოდნენ. იმპერატორმა ნიკიფორე ბოტანიატესმა რუმელიის ლაშქარი ანატოლიაში გადაიყვანა და იზნიქს ალყა შემოარტყა. ძლიერი ბრძოლა მოხდა, ბიზანტიის ლაშქარი დამარცხდა, თვითონ პალეოლოგი რამდენიმე ადგილას დაიჭრა, სულთანი იზნიქში შევიდა. სულთანმა სახელგანთქმული იზნიქი თავის სა-

[13] ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორია, III, 1952, გვ. 40.

ტახტო ქალაქად გაიხადა. იზნიქი კარგი სტრატეგიული პუნქტი იყო კონსტანტინოპოლზე თავდასასხმელად. მან ახლომახლო ქალაქები ხელთ იგდო, სულ მოკლე ხანში მთელი მარმარილოს ზღვის სანაპიროების მფლობელი გახდა. ბურსა, იზმითი, ბითინიის აუზში მდებარე ქალაქები ხელთ იგდო ცალ-ცალკე, ანატოლიის მხარეზე სრუტის მფლობელი გახდა. სულეიმან შაჰმა ანატოლიის ნაპირზე საბაჟო გააშენა და გამვლელ-გამომვლელ გემებს გადასახადს ახდევინებდა.[14]

თურქთა მიერ ნიკეის დაპყრობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ ქრისტიანულ სამყაროზე. ნიკეის სტრატეგიული მნიშვნელობისა და მისი თურქთა მიერ დაპყრობის შესახებ აკად. ვ. გორდლევსკი აღნიშნავდა, რომ „Устраиваясь в Никее, Сельджукиды хотели занять дорогу, прервать связь между Константинополем и Малой Азией и Сирией, куда они сперва направляли взоры".[15]

როდესაც ანატოლიის სელჩუკები დასავლეთში ასეთ წარმატებებს აღწევდნენ და ზედიზედ იპყრობდნენ ტერიტორიებს ბიზანტიის ქვეყნების ხარჯზე, მის აღმოსავლეთ ნაწილში სელჩუკთა სხვა ჯგუფი აწარმოებდა დაპყრობებს და არანაკლები წარმატებითაც. სელჩუკთა ლაშქრის საქმიანობის შესახებ ამ პერიოდში ანატოლიის აღმოსავლეთ ნაწილში საერთოდ, და საქართველოში კერძოდ, ცნობილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში.[16]

ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში „დიდი თურქობის" ხანა დაიწყო. ანატოლიაში დამკვიდრებული სელჩუკები სისტემატურად მოდიოდნენ ამიერკავკასიაში და საქართველოში კერძოდ. მრავალი ბრძოლის გადახდა მოუხდა მეფე გიორგი II-ს მათ წინააღმდეგ. ამ პერიოდში ქართველთა ბრძოლა ანატოლიის თურქთა წინააღმდეგ უშუალოდ დაკავშირებული იყო კლასობრივ და შინაკლასობრივ ბრძოლასთან. ანატოლიის თურქთა პერმანენტული შემოსევების შესახებ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში საინტერესო ცნობებია დაცული ქართულ ნარატიულ წყაროებში. სამწუხაროდ, ანონიმი ისტორიკოსის თხზულებაში არაფერია ნათქვამი ამ პერიოდში სელჩუკთა მიერ საქართველოს დალაშქვრის შესახებ.

როდესაც ანატოლიის აღმოსავლეთ ნაწილში და საქართველოში თურქთა ლაშქრობები მიმდინარეობდა, 1081 წელს დიდ სულთან მალიქ შაჰის ლაშქარმა ურფა აიღო, მეორე მხრივ, სულთან სულეიმან შაჰი მარმარილოს ზღვის აუზში აწარმოებდა დაპყრობებს. მან მოახერხა დაეპყრო ტერიტორიები

---

[14] მუკრიმინ ჰალილ ინანჩის დასახ. ნაშრ., გვ. 109. Osman Turan, Selçuklular Tarihi ve Türk-Islam Medeniyeti, Ankara, 1965, გვ. 200.

[15] В. А. Гордлевский, Государство Сельджукидов Малой Азии, Избранные сочинения, I, М., 1960, стр. 49-50.

[16] მუკრიმინ ჰალილ ინანჩი, დასახ. ნაშრ. გვ. 110-134. ნოდარ შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში..., გვ. 275-321.

ჩანაკ-კალემდე. თურქთა ძალები პირდაპირ კონსტანტინოპოლს შეჰყურებდნენ. ბიზანტიის იმპერატორი ძალიან აღშფოთებული იყო ასეთი მდგომარეობით და მეკობრეობა შემოიღო: ამით მან თურქთა ძალები აიძულა, კონსტანტინოპოლიდან უკან წასულიყვნენ. ამასობაში ზავი ითხოვა სულეიმან შაჰთან.

1084 წლისათვის სელჩუკებმა მთელი ანატოლია დაიპყრეს. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში სულთან სულეიმან შაჰმა ანტიოქიის დაპყრობა მოახერხა. ანონიმი ავტორის მიხედვით, ანტიოქიის აღების შემდეგ სულეიმან შაჰმა „ჰაზემსა და ჰამას გაილაშქრა, ისინი დაიპყრო. როდესაც ალეპოს კართან მოვიდა, დამასკოს ემირები მორჩილებით შეხვდნენ და შეწყალება ითხოვეს".[17]

ანონიმი ისტორიკოსის ცნობიდან ჩანს, თუ როგორ ადვილად იპყრობდნენ სელჩუკები ბიზანტიის ქალაქებს და როგორ აფართოებდნენ თავიანთ სამფლობელოებს მცირე აზიაში. სელჩუკთა მიერ ანტიოქიის აღება ვრცლად აქვს აღწერილი ქერიმ ად-დინ აყსარაილის.[18] დიდი იყო სულეიმან შაჰის წარმატებები ბიზანტიის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. ამ წარმატებების გასაღების შესახებ აკად. ვ. გორდლევსკი აღნიშნავდა, რომ „Быстрыми военными успехами Сюлейман обязан раздорам между византийскими полководцами, которые часто призывали турок к себе на помощь".[19]

ბიზანტიის იმპერიაში არსებული არეულობა და ანარქია ხელს უწყობდა სულეიმან შაჰს დაპყრობების წარმატებით ჩატარებაში. სულეიმან შაჰი ყოველნაირად ცდილობდა ანატოლიის ადგილობრივი, ქრისტიანული მოსახლეობის გამუსლიმანებას და თავის მხარეზე გადაყვანას. საამისოდ იგი ყოველგვარ პირობებს უქმნიდა ადგილობრივ მკვიდრთ. ადგილობრივი მოსახლეობის თავის მხარეზე გადაყვანით იგი თავის ხელისუფლებას იმტკიცებდა და მომხრეებს იმრავლებდა. მის მიერ გატარებული სოციალური რეფორმების შედეგად სელჩუკთა მხარეზე მასობრივად გადადიოდნენ ბიზანტიელი გლეხები.

აკად. ვ. გორდლევსკი აღნიშნავდა, რომ „...Султан Сюлейман Кутулмыш провел (в конце XI в.) социальную реформу: крепостных и

---

[17] ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორია, III, 1952, გვ. 40.

[18] Selçukı Devletleri Tarihi, Aksaraylı Karimeddin Mahmud'un Musamerat al-ahyar adlı Farsça tarihinin tercumesi. Türkçeye çeviren M. Nuri Gencosman. Önsöz ve notlar yazan F. N. Uzluk, Ankara, 1943, გვ. 114-115. სულეიმან შაჰის მცირე აზიასა და სირიაში წარმოებული ომებისა და სიცოცხლის ბოლო წლებში ბიზანტიასთან ურთიერთობის შესახებ იხ. Y. Y. Laurent, Des Grecsaus aux Croise's. Etude sur l'histoire d'E'desse entre 1071 et 1098. Byzantion, t. 1, 1924. Paris-Liege, გვ. 384-403.

O. Turan, Selçuklular Tarihi ve Türk-Yslam Medeniyeti, გვ. 200-202.

[19] ვ. გორდლევსკის დასახ. ნაშრ., გვ. 49.

рабов, работавших на латифундиях в Малой Азии, он объявил свободными, и они массами стали переходить в ислам."[20]

სელჩუკები, როგორც მუსლიმანები, ბიზანტიელთა დაპყრობილ ტერიტორიებზე ქრისტიანი მოსახლეობისაგან, შარიათის მიხედვით, მხოლოდ ხარაჯის გადახდით კმაყოფილდებოდნენ. უამრავი გადასახადით უკმაყოფილო და ეკონომიკურად შევიწროებული მცირე აზიის ქრისტიანი მოსახლეობისათვის მხოლოდ ხარაჯის გადახდა დიდი შეღავათი იყო, ამიტომ ისინი მასობრივად იღებდნენ ისლამს და სელჩუკთა მხარეზე გადადიოდნენ.

ალეპოს ემირმა სელჩუკებს მოსთხოვა ის გადასახადი, რომელსაც იხდიდა ანტიოქიის მეთაური. მაგრამ სულეიმან შაჰმა პასუხად მისი საემირო დაარბია, ემირი ბრძოლაში მოკლა და ალეპო გარემოიცვა. სულეიმან შაჰის ბიძაშვილმა თვითონ იკისრა ქალაქის დაცვა და სულეიმან შაჰი დაამარცხა. სულეიმან შაჰმა, ვითარცა დამარცხებულმა, არ ინება ტყვედ ჩავარდნა და თავი მოიკლა. ანონიმი ისტორიკოსის გადმოცემით, „სულეიმან შაჰი 516/1122 წელს ავად გახდა, ალეპოში გარდაიცვალა. როცა კონიიდან გამოვიდა, თავისი შვილი ყილიჩ-არსლანი მემკვიდრედ გაიხადა".[21]

სულეიმან შაჰის მოულოდნელმა სიკვდილმა სასტიკად შეარყია მისი ხელისუფლება. ქვეყნის შიგნით დაიწყო არეულობა და იგი რამდენიმე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად დაიშალა. მცირე აზიის ქალაქების: სმირნის, ნიკეისა და კაბადოკიის გამგებლებმა სულეიმან შაჰის გარდაცვალებისთანავე დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. „სელჩუკ უფლისწულთა და ამირათა საქმიანობიდან აშკარად ჩანდა, რომ სელჩუკთა სახელმწიფოში ფეოდალიზაციის პროცესი შორს წასული მოვლენა იყო. ცალკეული უფლისწულები და ამირები დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდნენ. ურთიერთშორის მათ საშინელი მტრობა და უნდობლობა ჰქონდათ".[22]

სულეიმან შაჰის გარდაცვალების შემდეგ მცირე აზია მრავალ ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულად დაიშალა, თითოეული მათგანი მეზობელი სამთავროს ტერიტორიების ხარჯზე ცდილობდა თავისი სამფლობელოების გაფართოებას.[23]

---

[20] იქვე, გვ. 122.

[21] ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორია..., გვ. 40. ზემოთ მოტანილ ცნობაში სულეიმან შაჰის გარდაცვალების თარიღი – 516/1122 წელი აშკარად შეცდომაა, სულემან შაჰი გარდაიცვალა 1086 წელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანონიმი ისტორიკოსი სულეიმან შაჰის მემკვიდრეებისა და მომდევნო სულთნების ზეობის წლებს საერთოდ შეცდომით ასახელებს და ძალიან მწირ ცნობებს გვაწვდის მათი საქმიანობისა და მოღვაწეობის შესახებ.

[22] ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 301.

[23] სულეიმან შაჰის გარდაცვალების შემდეგ მცირე აზიაში შექმნილი ვითარების შესახებ იხ. Osvam Turan, Selçukular Taribi ve Türk-Islam Medeniyeti... გვ. 202-204.

დაიწყო უმეფობის ხანა მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოში (1085-1092). სულეიმან შაჰის შვილები შიშით გაიქცნენ, მაგრამ დიდმა სელჩუკმა სულთანმა მალიქ შაჰმა, სულეიმან შაჰის საქმიანობით გაბრაზებულმა, ისინი დაატყვევა. ამასობაში ცალკეულმა ემირებმა დაიტაცეს თანამდებობები და ქვეყანას თვითნებურად მართავდნენ. ანა კომნენოსის გადმოცემით: „Когда весть о самоубийстве эмира Сулеймана распространилась по всей Азии, каждый сатрап, охранявший город или городок, захватил и присвоил себе ту крепость, которую охранял".[24]

ქვეყნის ასეთმა დაქუცმაცებულობამ მისცა საშუალება ბიზანტიის იმპერატორს, დაესრულებინა ბრძოლა ნორმანებთან და ჩარეულიყო აზიის საქმეებში. იგი ემირებს შორის მტრობას აღვივებდა და ნიკეის უკან დაბრუნებას ცდილობდა, მაგრამ ვერ მოახერხა. ნიკეა ვიფინიის ემირმა აბულ ყასემმა სულეიმანის შვილს — ყილიჩ-არსლანს გადასცა. მალიქ შაჰის გარდაცვალების შემდეგ სულეიმანის შვილები ტყვეობიდან გამოიქცნენ. უფროსმა შვილმა ყილიჩ-არსლანმა მამის ტახტი დაიკავა. მან უმეფობის ხანაში ბერძნებისა და ემირების მიერ მიტაცებული ქალაქები დაიბრუნა და თავისი ქვეყნის საზღვრები ეგეოსის ზღვამდე გააფართოვა.

თანამედროვე თურქი ისტორიკოსის ილმაზ ოზთუნას მტკიცებით, როდესაც სულეიმან შაჰი გარდაიცვალა, მისი მცირეწლოვანი შვილები მალიქ შაჰმა ისფაჰანში წაიყვანა აღსაზრდელად და დიდი პატივითა და მზრუნველობით ექცეოდა. ხოლო სულეიმანის გარდაცვალებიდან მალიქ შაჰის გარდაცვალებამდე სელჩუკთა სახელმწიფო 6 წელი, ხუთი თვე და 15 დღე სულეიმან შაჰის ძმის მელიქ-დაუდის გამგებლობაში დარჩა. ამიტომ მელიქ დაუდი სელჩუკთა მეორე მბრძანებლად ითვლებოდა.[25]

ამ მოსაზრებას დღეს ზოგიერთი თურქი ისტორიკოსი არ იზიარებს. სულეიმან შაჰის გარდაცვალებიდან 1092 წლამდე, როდესაც მალიქ შაჰი გარდაიცვალა, მისი ტახტი დაიკავა მისმა მემკვიდრემ ქარქიარუქმა, ანატოლიის სასულთნო ტახტზე ამ უკანასკნელის მოწვევით დაჯდა ყილიჩ-არსლანი. ანა კომნენოსის ცნობით, მალიქ შაჰის გარდაცვალების შემდეგ სულეიმანის შვილები გაიქცნენ ხორასნიდან და ნიკეაში მოვიდნენ. „Увидев братьев, жители Никеи встретили их с радостью. Пулхас с готовностью передал им Никею, как перешедшее от отца наследство. Старший из них, по имени Килич-Арслан, был избран султаном".[26]

---

[24] Анна Комнина, Алексиада, Вступительная статья, перевод, комментарии Я. Н. Любарского, М., 1965, стр. 191.

[25] T. Yilmaz Öztuna, Türkiye Tarihi, Selçuklular ve Anadolu Beylikleri, 2 cilt, 1964, გვ. 81.

[26] ანა კომნენოსი, დასახ. ნაშრ., გვ. 199.

სულეიმან შაჰის გარდაცვალებიდან ყილიჩ-არსლანის მცირე აზიის სელჩუკთა სასულთნო ტახტზე ასვლამდე ქვეყნის ფაქტობრივი გამგებელი იყო ერთ-ერთი მხედართმთავარი აბულ-ყასემი. იგი ამ პერიოდში წარმატებით აწარმოებდა ბრძოლებს როგორც ბიზანტიის წინააღმდეგ, ასევე ცალკეული სელჩუკი ემირების წინააღმდეგაც, რომლებიც დამოუკიდებლად ეწეოდნენ თავიანთი ტერიტორიების გაფართოებას მეზობელი ბეგების ტერიტორიების ხარჯზე.

სულეიმან შაჰმა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ანტიოქიაზე სალაშქროდ მიემგზავრებოდა, ნიკეის დაცვა აბულ-ყასემს ჩააბარა. ასევე ჩააბარა მან სანაპირო რაიონები ცალკეულ სატრაპებს. აბულ-ყასემმა, რომელიც ნიკეის არქისატრაპი იყო, მიიტაცა ქალაქი, კაბადოკიის ქალაქების ხელისუფლება თავის ძმას პულხასს მისცა, თვითონ კი სულთნის ტიტულზე ოცნებობდა. იგი მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა, აგზავნიდა თავის ძალებს, ანადგურებდა მთელ ვიფინიას და პროპონტიდამდე მიდიოდა.[27]

ანა კომნენოსის მიხედვით, აბულ-ყასემს ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიის იმპერატორთან. იგი იმპერატორის მიერ მიწვეულიც კი იყო კონსტანტინოპოლში, სადაც დიდი პატივით მიიღეს, ამ დროს იმპერატორმა მას იზმითი ხელიდან გამოსტაცა.

აბულ-ყასემი დიდი სელჩუკი სულთნისაგან ანატოლიის გამგებლისა და სულთნის ტიტულის მიღებაზე ოცნებობდა. დიდ სელჩუკი სულთნისათვის არ უნდა ყოფილიყო სასურველი აბულ-ყასემის ასე დაწინაურება და გაძლიერება მცირე აზიაში და იგი თავისთან დაიბარა. წყაროების მიხედვით, მალიქ შაჰის განკარგულებით, ურფის გამგებელს ბოზან ბეის დაევალა აბულ-ყასემის მოსპობა. მან წარმატებით შეასრულა სულთნის დავალება. აბულ-ყასემის ნაცვლად მისი ძმა ებულ-გაზი ბეი დაინიშნა იზნიკში.[28] სწორედ ამ პერიოდში ხდება ანატოლიის სასულთნო ტახტზე ყილიჩ-არსლანის გამოჩენა.

როგორც აღვნიშნეთ, სულეიმან შაჰის გარდაცვალების შემდეგ მცირე აზიის ცალკეული გამგებლები სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ და მეზობელი პოლიტიკური წარმონაქმნების ხარჯზე აფართოებდნენ თავიანთ ტერიტორიებს. ამ პერიოდში ძლიერდება სწორედ სმირნის გამგებელი ჩაქა, რომელიც, ერთი მხრივ, ანატოლიის სასულთნოს ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდა, მეორე მხრივ, ბიზანტიის იმპერატორს უპირისპირდებოდა და იმპერატორობაზე პრეტენზიას აცხადებდა.[29] ჩაქამ სმირნა სახელმწიფოს ცენ-

---

[27] იქვე, გვ. 192.

[28] აბულ-ყასემის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს ანა კომნენოსს, იხ. ანა კომნენოსის დასახ. ნაშრ., გვ. 191-199.

[29] ჩაქას საქმიანობის შესახებ საყურადღებო ცნობები მოეპოვება ანა კომნენოსს. იხ. ანა კომნენოსის დასახ. ნაშრ., გვ. 217-222, 246-251, 302-304.

ტრად გაიხადა, ეგეოსის ზღვაზე სამხედრო ფლოტი გააძლიერა და დიდი სამზადისის შემდეგ ბალკანეთში მცხოვრებ პაჭანიკ თურქებთან კავშირი შეკრა. მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ბიზანტიის იმპერატორის განადგურება იყო. იგი ბიზანტიისათვის საშიში მტერი გახდა.

ანატოლიაში ახალგასულთნებულმა ყილიჩ-არსლანმა ამ ძლიერ ბეგთან ნათესაური კავშირი გაბა. მისი ქალიშვილი შეირთო ცოლად. მიუხედავად ყილიჩ-არსლანის დანათესავებისა, ფორმალურად მორჩილი ჩაქას აღზევება სელჩუკი სულთნისთვისაც არ იყო სახარბიელო. ყილიჩ-არსლანსა და ჩაქას შორის ურთიერთობის გასამწვავებლად და ამ ურთიერთობის თავის სასარგებლოდ გამოსაყენებლად ბიზანტია ყოველ ღონეს ხმარობდა. ბიზანტიის იმპერატორმა კიდეც მიაღწია თავის მიზანს, ყილიჩ-არსლანი დაარწმუნა მისდამი ჩაქას მტრულ საქმიანობაში და მოაკვლევინა კიდეც. ჩაქას მოსპობით ბიზანტიის იმპერატორს ხმელთაშუა ზღვაზე მეკობრეობის სახით საშიში მტერი ესპობოდა, ხოლო ყილიჩ-არსლანი ძლიერი, მოჯანყე ბეგისაგან თავისუფლდებოდა, რომელიც ყოველ წუთს შეეცდებოდა მის წინააღმდეგ გამოლაშქრებას.[30]

ყილიჩ-არსლანი ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში შეეცდებოდა, ასევე გასწორებოდა დინასტიის ყველა იმ მეთაურს, რომლებიც ანატოლიაში დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავს და სულთნის ხელისუფლება მათ ინტერესებში არ შედიოდა.

მართალია, ყილიჩ-არსლანმა დაიკავა თავისი მამის — სულეიმან შაჰის ტახტი და ფორმალურად მთელი მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს კანონიერი სულთანი გახდა, მაგრამ სინამდვილეში ამ პერიოდში აღმოსავლეთ და შუა ანატოლიაში სალთუკთა, მენგუჯუკთა და დანიშმენდთა დინასტიები დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. ასევე დასავლეთ ანატოლიაში ჩაქასა, თანღრი ბერმიშისა და სხვათა მეთაურობით თურქული მოდგმის ტომები ბატონობდნენ და მათ პოლიტიკურ ინტერესებში სრულებით არ შედიოდა მცირე აზიის ტერიტორიაზე ყილიჩ-არსლანის გამოჩენა.

ყილიჩ-არსლანის ზეობის წლები მრავალი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენით აღინიშნა მახლობელ აღმოსავლეთში საერთოდ და ანატოლიაში კერძოდ. სამწუხაროდ, ანონიმი ავტორი ძალიან მწირ ცნობებს იძლევა ყილიჩ-არსლანის საქმიანობის შესახებ. შედარებით უფრო ვრცელი ცნობები აქვს შემონახული ქერიმ ად-დინ აყსარაილის. მას აღწერილი აქვს ყილიჩ-არსლანის ურთიერთობა დანიშმენდთა ემირთან. როგორც ცნობილია, ანატოლიაში სელჩუკთა სახელმწიფოს მეზობლად საფუძველი ჩაეყარა დანიშ-

---

A. N. Kurat, Caka Bey, Izmir, 1946. Kurat A. N. Caka, Izmirin ortazamanda, Ilk Türk Hakimi. Istambul, 1936. ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 33-336.

[30] ნოდარ შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 335.

მენდთა დინასტიას (1097-1165). მათ მფლობელობაში შედიოდა: სივასი, კესარია და მალათია. ფაქტობრივად დანიშმენდთა დინასტიის არსებობა მცირე აზიაში არ შედიოდა სელჩუკი სულთნების პოლიტიკურ ინტერესებში. ისინი ყოველნაირად ეცდებოდნენ, ბოლო მოეღოთ ყოველგვარი პოლიტიკური ერთეულებისათვის მცირე აზიაში.

ყილიჩ-არსლანიც ასევე ცდილობდა, ბოლო მოეღო მცირე აზიაში ახალწარმოქმნილი ცალკეული პოლიტიკური ერთეულებისათვის, რომელთა ინტერესებში სრულებით არ შედიოდა დანიშმენდთა გაძლიერება. ყილიჩ-არსლანი თავგამოდებით ცდილობდა თავისი ტერიტორიების გაფართოებას მეზობელი პოლიტიკური ერთეულების ხარჯზე. ჩაქას განადგურების შემდეგ იგი მალათიის დასაპყრობად გაემართა. ხანგრძლივი გარემოცვის მიუხედავად, მაინც ვერ მოახერხა ქალაქის ხელში ჩაგდება. ამაში მას ხელი შეუშალა ჯვაროსანთა ლაშქრის გამოჩენამ მცირე აზიის ტერიტორიაზე. ჯვაროსანთა გამოჩენა მცირე აზიაში თურქთა საბოლოო დამკვიდრებას ამ ტერიტორიებზე საფრთხეს უქმნიდა.

მცირე აზიაში სელჩუკთა დამკვიდრებისა და ბიზანტიელთა განდევნის შემდეგ არც ბიზანტიელები ისვენებდნენ და არც სელჩუკები, ისინი ახალ-ახალ გეგმებს სახავდნენ. ბიზანტიელები სელჩუკთა ანატოლიიდან განდევნისათვის, ხოლო სელჩუკები — ბიზანტიელთა ახალ-ახალი ტერიტორიების ასათვისებლად.

მთელი რიგი პოლიტიკური მოვლენებისა, რაც აღინიშნა XI-XIII საუკუნეთა ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში, უშუალოდ უკავშირდებოდა ანატოლიის სელჩუკებს. ამიტომ ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის საკითხების შესახებ არსებული წყაროების შესწავლა და გამომზეურება უფრო მეტ სინათლეს შეიტანს საქართველოს ანატოლიის სელჩუკებთან და მთელ მაჰმადიანურ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხების შესწავლის საქმეში.

ჯერ კიდევ სელჩუკთა შემოსევებამდე საქართველოს ბრძოლა უხდებოდა ერთმორწმუნე ბიზანტიის იმპერიასთან. ბიზანტიისა და სელჩუკთა დაპირისპირების შემდეგ კი ბიზანტიელთა მხარეზე ქართველებიც გამოდიოდნენ ლიპარიტ ბალვაშის და მომხრეების სახით. ლიპარიტმა უდიდესი როლი შეასრულა სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში, აქაც გამარჯვებული გამოვიდა. საქართველოში სელჩუკთა მოძალების პირობებში ქართველები ყოველთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს აწარმოებდნენ სელჩუკთა აგრესიის წინააღმდეგ.

ამიერკავკასიიდან ალფ-არსლანის წასვლის შემდეგ სელჩუკთა ტომები სისტემატურად მოდიოდნენ და თავს ესხმოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ადგილობრივი მკვიდრი, ქრისტიანული მოსახლეობის გვერდით არსებობას იწყებდა თურქული ეთნიკური ელემენტი. საქართველოს ტერიტორიაზე

თურქული ეთნიკური ელემენტის მოზღვავება იწყებოდა. ბიზანტიამ კი გვიან შეამჩნია სელჩუკთა ჩამოსახლება.

მანასკერტთან ბიზანტიის დამარცხებას უდიდესი უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ამიერკავკასიისათვის. ამიერიდან საქართველოს უმეზობლდებოდა მეჯოგე სელჩუკთა მომთაბარე ტომები. ისინი მაღალგანვითარებულ, ინტენსიური მეურნეობის მქონე ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას უპირისპირდებოდნენ. თურქთა მეზობლობის შედეგად ხშირდებოდა საქართველოზე თავდასხმები, იკვეცებოდა ქართული ფეოდალური მეურნეობა, ფერხდებოდა ეკონომიკური განვითარება.

ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოქმნით ძირითადად მთავრდებოდა მცირე აზიის დაპყრობა და თურქული ეთნიკური ელემენტის გაბატონება. ამას უდიდესი უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებისათვის. ბიზანტიის ნაცვლად საქართველოს მეზობლად ჩამოყალიბდა ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფო, რომელიც ძირითად ბაზად ხდებოდა საქართველოზე თავდასხმისათვის. მასობრივად ხდებოდა ქართულ ტერიტორიებზე თურქული ეთნიკური ტომების ჩამოსახლება. შეუძლებელი ხდებოდა მეურნეობის წარმოება, ქვეყანა ფიზიკური განადგურების წინაშე იდგა. ქვეყნის განადგურებისაგან გადასარჩენად მეფე გიორგი II იძულებული გახდა, ისპაჰანს წასულიყო და შეწყალება ეთხოვა. ამის სანაცვლოდ მეფე ხარაჯის გადახდას კისრულობდა, რაც ერთადერთი გამოსავალი იყო ქვეყნის ფიზიკური მოსპობისაგან გადასარჩენად, ქვეყანა დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. საქართველო სელჩუკ მომთაბარეებთან მხოლოდ გარკვეული დამოკიდებულების ფორმით, ხარაჯას გადახდით იყო დაკავშირებული. სხვა შემთხვევაში თურქთა მოძალება ქართულ ფეოდალურ მეურნეობას საფრთხის წინაშე აყენებდა.

დავით აღმაშენებელი შესანიშნავად გრძნობდა, რომ თურქ-სელჩუკთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ წინ იყო. საჭირო იყო სათანადო მომზადება და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა მთელი რიგის გატარება. სწორედ ამ მხრივ წარმართა მან თავისი მოღვაწეობა, რათა უფრო დიდი მასშტაბის შეტევები დაეწყო თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ.

საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო მთელ ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში, რომელმაც შეინარჩუნა თავისი სახელმწიფოებრიობა, შეძლო საკუთარი ძალების სრული მობილიზაცია და პროგრესისათვის მებრძოლი ძალების სათავეში ჩადგომა.

NODAR SHENGELIA

THE ORIGIN OF THE SELJUK STATE OF ASIA MINOR

Summary

By the last quarter of the 11th century, due to feudalization and a number of social and religious movements in the state of the Great Seljuks, it disintegrated into several independent political feudal entities. Seljuk political confederations came into being in Syria, Iraq, Kerman, Iran, and Asia Minor. In addition there arose many petty emirates and political groupings. The feudalization process of the Great Seljuk State was a far-gone phenomenon.

The victory at Manzikert finally laid the foundation for the establishment of the Seljuks in Asia Minor. The Asia Minor Seljuk State is believed to have been set up in 1075, 1077, 1078, and, occasionally, even 1081. By creating this state Suleiman Shah actually emited the Turkoman nomad tribes settled in Asia Minor. Following the battle of Manzikert, Georgia had to fight not against Byzantium but the Seljuks. Suleiman Shah was the first to adopt the titles of independence.

Though formally still subject to the Great Seljuk Sulṭan, Suleiman took every opportunity to assert his independence from the Great Seljuk Sultan.

The Seljuk State of Asia Minor formed a bridgehead to the south-west of Georgia, allowing the Seljuks to make systematic attacks.

The creation of the Seljuk State of Asia Minor largely completed the unification of the territories occupied by them and the dominance of the Turkish ethnic element. This had enormous negative consequences for Georgia and the Transcaucasian countries: